ხელშეკრულება იჯარის შესახებ 20/02/2024-1

ქ. თბილისი *2024 წლის 20 თებერვალი*

ერთი მხრივ შპს ფიჯიელ შიფფინგ (ს.კ.404713958) წარმოდგენილი დირექტორის აბდულ რაჰიმ ფაჰიმ (პ/ნ 652556900) მიერ (შემდგომში წოდებული „მოსარგებლე“) და მეორე მხრივ შპს „ ბიზნეს სახლი” (საიდენტიფიკაციო კოდი : 402103255) წარმოდგენილი დირექტორის ქეთევან ამირანაშვილის (პ.ნ 01026006361) მიერ (შემდგომში წოდებული „მესაკუთრე“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მესაკუთრის კუთვნილი არასაცხოვრებელი ფართის მოსარგებლისათვის იჯარით გადაცემა. ხელშეკრულების საგნის მახასიათებლებია: მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. #145 (საკადასტრო კოდი 01.13.02.003.383), იჯარით გადაცემული ჯამური ფართი: 71კვ.მ ოფისი და 41 კვ. აივანი

1.2. იჯარის საგნის დეტალური აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. საზღაური საოფისე ფართით სარგებლობისათვის (საიჯარო ქირა) განისაზღვრება 900(ცხრასი) აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში (დღგ-ს ჩათვლით). საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

1.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების წესით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

1.5. ბოლო თვის ქირას მოსარგებლე გადაიხდის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

1.6. პირველი თვის ქირას მოსარგებლე იხდის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ათი დღის განმავლობაში, პირველი თვის ქირა მოიცავს პერიოდს იჯარის დაწყებიდან ამ თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით, მოსარგებლე პირველი თვის ქირის სახით გადაიხდის ხელშეკრულებით დადგენილი საიჯარო ქირის საიჯარო პერიოდისადმი პროპორციულ ნაწილს .

1.7. ყოველ მომდევნო, მიმდინარე თვის ქირას მოსარგებლე იხდის შესაბამისი თვის 1-10 რიცხვის ჩათვლით.

1.8. ნებისმიერი ვალდებულება და განხორციელებული გადახდა, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანზე წინამორბედი საიჯარო ხელშეკრულებიდან, ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების მიმართაც (მათ შორის იგულისხმება 1.5. და 2.2.3 პუნქტებით დადგენილი ვალდებულებები).

1.9. საიჯარო ქირა დადგენილ ვადაში გადახდილად ჩაითვლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სრული ოდენობით იქნება გადახდილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი აქვს გადახდის ვალდებულების დარღვევას (გადახდის ვადის გადაცილებას), რაც გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს.

II მხარეთა ვალდებულებები

2.1. მესაკუთრე ვალდებულია:

2.1.1. უზრუნველყოს საიჯარო ფართით შეუფერხებელი სარგებლობა და მოსარგებლის უფლებამოსილი პირების შეუფერხებელი დაშვება იჯარის საგანზე. ამასთანავე იჯარის საგნის გასაღების გადაცემა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდილია ხელშეკრულების 1.5. პუნქტით გათვალისწინებული ბოლო თვის ქირა.

2.1.2. უზრუნველყოს მოსარგებლის საიჯარო ფართის უსაფრთხოება, რაც გულისხმობს შენობაში დაცვის სამსახურის და ვიდეოთვალთვალის კამერების არსებობას, საერთო სარგებლობის ფართებში, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე.

2.1.3. უზრუნველყოს მოსარგებლე ელექტრო ენერგიით და წყლით, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ფართში, ისე საერთო სარგებლობის წერტილებში.

2.1.4. უზრუნველყოს მოსარგებლის საიჯარო ფართი გათბობისა და გაგრილების სისტემებით.

2.1.5. მოაწესრიგოს საერთო სარგებლობის ფართები. (ლიფტი, შესასვლელი, პარკინგი, შენობა-ნაგებობის გარე ფასადი).

2.2. მოსარგებლე ვალდებულია:

მესაკუთრე _____ მოსარგებლე: _____

2.2.1. გაუფრთხილდეს იჯარით გადაცემულ ქონებას, დაიცვას და უზრუნველყოს უსაფთხოების აუცილებელი ნორმები.
2.2.2. ნებისმიერი რეკონსტრუქცია, ფასადის და ინტერიერის ცვლილება შეუთანხმოს მესაკუთრეს.
2.2.3. გადაიხადოს მის მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების ხარჯები. მესაკუთრის მიერ მოსარგებლისთვის იჯარით გადაცემული ფართის შესაბამისი ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების საფუძველზე.
2.2.4. გამოიყენოს საიჯარო ფართი მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულებით.
2.2.5. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებულია სრული ოდენობით აანაზღაუროს შენობის არასწორი ექსპლოტაციით ან სხვა დაზიანებებით გამოწვეული ზარალი (ბუნებრივი ცვეთა დაზიანებად არ ჩაითვლება).
2.2.6. უზრუნველყოს მასთან დასაქმებული პერსონალის და ასევე ვიზიტორების მიერ შენობაში თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მესაკუთრის მიმართ გამოყენებულ საჯარიმო სანქციებზე მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ კომპანიას ვინც ვალდებული იყო არ დაეშვა თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევა.
2.2.7. მესაკუთრესთან შეუთანხმებლად არ გამოცვალოს იჯარის ობიექტის კარების საკეტი მოწყობილობა, აღნიშნული ქმედება ჩაითვლება სხვისი საკუთრების არამართლზომიერ ხელყოფად.
2.2.8. დაუყოვნებლივ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე დაცალოს იჯარით აღებული ფართი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

III დავების გადაწყვეტა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება იმართება საქართველოს კანონების შესაბამისად.
3.2. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად.
3.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად ვერ იქნა მიღწეული თანხმობა დავების გადაწყვეტის საკითხზე, მაშინ მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IV ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შეწყვეტის პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. და მოქმედებს 2025 წლის 20 თებერვლამდე.
4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით არსებული ყველა შეთანხმება, მოლაპარაკება და მიმოწერა კარგავს იურიდიულ ძალას, ხოლო მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანზე ადრე დადებული ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) წყვეტს მოქმედებას.
4.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი ფორმითა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
4.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა წყდება:
4.4.1. მუხლი 4.1. შესაბამისად ვადის გასვლის შემდეგ თუ მხარეებმა დამატებითი შეთანხმების გაფორმებით არ გააგრძელეს მისი მოქმედება;
4.4.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემდეგ;
4.4.3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას.
4.5. მესაკუთრე უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, თუ საიჯარო თანხის გადახდის ვადაგადაცილება შეადგენს 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე მეტს. (ასეთ შემთხვევაში მიმდინარე თვის ქირა დაიფარება წინასწარ გადახდილი ბოლო თვის ქირის ხარჯზე).
4.6. მესაკუთრე უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, თუ მოსარგებლე 6 თვის განმავლობაში 2–ჯერ მაინც დაარღვევს გადახდის დადგენილ ვადებს. მესაკუთრეს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ბოლო დარღვევის თვეშივე ან მის მომდევნო თვეს (ასეთ შემთხვევაში მომდევნო თვის ქირა დაიფარება წინასწარ გადახდილი ბოლო თვის ქირის ხარჯზე).

მესაკუთრე _____ მოსარგებლე: _____

4.7. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის მიერ ორი თვით ადრე მეორე მხარისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობითი შეტყობინების ჩაბარებით/გადაცემით.
4.8. ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ხელშეკრულების შეწყვეტა, წყვეტს მხოლოდ საიჯარო ურთიერთობას და ის არ ეხება შეუსრულებელ ვალდებულებებს ასევე ამ ვალდებების შესრულებასთან, უზრუნველყოფასთან და მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დაზარელებული მხარის სახელშეკრულებო უფლებებს.

V ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ და თავიდან აეცილებინათ.
5.2. ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორს-მაჟორის) დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.3. თუ ფორს-მაჟორი გრძელდება ორ (2) თვეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი შესრულებით.

VI განსაკუთრებული პირობები

6.1. წინამდებარე მუხლი წარმოადგენს ცალკე ხელშეკრულებას და ძალაშია მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის წარმოშობილი ნებისმიერი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, რაც გამომდინარეობს მესაკუთრის კუთვნილი ფართის სარგებლობასთან დაკავშირებით, იქნება ეს საიჯარო, არასაიჯარო, შეთნხმებული თუ უნებართვო სარგებლობა.
6.2. მოსარგებლე აცხადებს რომ მის მიერ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე :pgl@peacegl.com მიღებული წერილი, წარმოადგენს წერილობითი სახით მიღებულ შეტყობინების ტოლფას დოკუმენტს.
6.3. როდესაც ხელშეკრულება ვადამდე წყდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული გარემოებების დადგომისას, მესაკუთრე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოსარგებლეს უკანასკნელი საიჯარო თვის ბოლომდე იჯარით აღებული ფართის დაცლა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი მოქმედებები რაზეც მას წინასწარი თანხმობა აქვს მოსარგებლისაგან:

ა) არ დაუშვას მოსარგებლე საიჯარო ფართზე,
ბ) საიჯარო ქირის ან/და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ისარგებლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 568 მუხლით გათვალისწინებული უფლებით.
გ) შეწყვიტოს მოსარგებლის მიერ დაკავებულ ფართში დენით, წყლით და სხვა კომუნალური მომსახურებების მიწოდება.
დ) დაადოს დაკავებულ ფართს ახალი საკეტი ან/და გამოცვალოს არსებული საკეტი.
ე) გაანთავისუფლოს ფართი დაკავებული ნივთებისაგან და გადაიტანოს ისინი სხვა ადგილას, ან შესანახად გადასცეს მესამე პირს, ასეთ შემთხვევაში შენახვის ხარჯების გადახდა დაეკისრება მოსარგებლეს.

ყველანაირი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული ქმედებები მესაკუთრეს შეუძლია გამოიყენოს ყოველკლთვის მაშინ, როდესაც მოსარგებლეს ფართი დაკავებული აქვს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველისა და მესაკუთრის ნებართვის გარეშე.

6.4. დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი საიჯარო ქირის გადახდასთან და დავალიანების არარსებობასთან დაკავშირებით ეკისრება მოსარგებლეს.
6.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ან რაიმე სხვა მიზეზით ფართით სარგებლობის უნებართვო ფაქტობრივი პერიოდი გარდა სარგებლობის საფასურის (ზიანის ანაზრაურების) გადახდის ვალდებულებისა

მესაკუთრე _____ მოსარგებლე: _____

(რაც განისაზღვრება სახელშეკრულებო საიჯარო ქირის შესაბამისად), ითვალისწინებს ასევე პირგასამტეხლოს რაც განისაზღვრება თითოეულ დღეზე 1 თვის საიჯარო ქირის- 1%-ით.

6.6. პირგასამტეხლოს დარიცხვა წარმოადგენს მესაკუთრის უფლებას და იგი უფლებამოსილია პირგასამტეხლო დაარიცხოს უნებართვო სარგებლობის ნებისმიერ სტადიაზე და გაავრცელოს მისი მოქმედება როგორც გადაწყვეტილების მიღების დღიდან ასევე უკანონო სარგებლობის პერიოდის დასაწყისიდან. პირგასამტეხლოს შესახებ გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობით და ეცნობოს მეორე მხარეს.

6.7. საიჯარო ფართის როგორც გადაცემა ასევე დაბრუნება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. აქტში უნდა აღინიშნოს ნებისმიერი სახის ნივთობრივი ნაკლი, თუ მოსარგებლე ფართის გადაცემისას უარს იტყვის ან თავს აარიდებს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას, ჩაითვლება რომ მან ქონება მიიღო უნაკლო მდგომარეობაში. იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლე ფართის დატოვების/ჩაბარებისას უარს იტყვის ან თავს აარიდებს მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერას, მესაკუთრე უფლებას იტოვებს რაიმე დაზიანების ან გაუმართაობის შემთხვევაში, აღნიშნული დაადასტუროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების დადასტურების მომსახურების გამოყენებით, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მომსახურების ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება მოსარგებლეს.

6.8. უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების ნაწილი) მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად.

VII დასკვითი დებულებები

7.1. დაუშვებელია მესაკუთრის თანხმობის გარეშე საიჯარო ქონების ქვეიჯარით გაცემა.

7.2. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ამ შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ბათილი დებულებების გარეშე ხოლო მათ მაგივრად მოქმედებს ისეთი დებულებები, რომლებიც ყველაზე უკეთესად ითვალისწინებენ ბათილი დებულებების მიზანს.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ხუთ (5) გვერდზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (სამ) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7.4. ურთიერთობა, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

მესაკუთრე: შპს „ბიზნეს სახლი“

ს/კ 402103255
მისამართი; ქ. თბილისი, ბელიაშვილის 145
ს.ს.”პროკრედიტბანკი” ა/ა GE29PC0133600100067607
დირექტორი, ქეთევან ამირანაშვილი
პ.ნ 01026006361

მოსარგებლე: შპს ფიჯიელ შიფფინგ

ს/კ 404713958
მისამართი: თბილისი, კრწანისის რაიონი, სოფელი ფონიჭალა, ფსოუს ქუჩა / კელასურის ქუჩა, N11/16
ს.ს.---------- ბანკი ----------
ა/ა: ----------
დირექტორი: აბდულ რაჰიმ ფაჰიმ,
/ 652556900/აშშ

599016743

მესაკუთრე _____ მოსარგებლე: _____

იჯარის შესახებ ხელშეკრულების დანართი №1

ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №145 (საკადასტროკოდი: 01.13.02.003.383).
იჯარით გაცემული ფართი:

დანიშნულება	ფართობი: (კვ.მ)	ფასი (აშშ დოლარი)	ჯამი
მე 5 სართული ოთახი 2	71	12	852
მე 5 სართული ოთახი 2ის აივანი	8	3	24
მე 5 სართული ოთახი 2 აივანი	33	0,73	24
			900

მესაკუთრე: შპს „ბიზნეს სახლი“
ქეთევან ამირანაშვილი

მოსარგებლე: აბდულ რაჰიმ ფაჰიმ,
/ 652556900/აშშ

მესაკუთრე _____ მოსარგებლე: _____

ქ. თბილისი 2024 წლის 21 მარტი

თანხმობა სარეკლამო აბრის განთავსებაზე

შპს ,,ბიზნეს სახლი" (საიდენტიფიკაციო კოდი : 402103255) წარმოდგენილი დირექტორის ქეთევან ამირანაშვილის (პ.ნ 01026006361) მიერ თანხმობას აცხადებს, რომ შპს ფიჯიელ შიფფინგმა (ს.კ.404713958) მის მიერ იჯარით აღებულ ფართის აივანზე მდებარე ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. #145 (საკადასტრო კოდი 01.13.02.003.383, იჯარით აღებული ჯამური ფართი: 71კვ.მ ოფისი და 41 კვ. აივანი) განათავსოს სარეკლამო აბრა. აბრის ზომა არ უნდა აღემატებოდეს სიგრძეში- 5 მეტრს ხოლო სიმაღლეში -2 მეტრს.

წინამდებარე თანხმობას ვამოწმებ პირადი ხელმოწერით:

ქეთევან ამირანაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240347636
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.03.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ეკატერინე ძულიაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599589966
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	14276113257224

დღეს, ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაერთ მარტს, მე საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტ. კორპ. 7 ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე ქეთევან ამირანაშვილმა, რომელმაც წარმოადგინა თანხმობა სარეკლამო აზრის განთავსებაზე ორ ეგზემპლარად და ითხოვა თანხმობაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.
მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად ქეთევან ამირანაშვილმა /დაბ. 13.05.1961 წელს, მის. თბილისი, არჩილ ცაგარელის ქუჩა, N 45, პ# 01026006361/ მომმართა.
შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.
ხელმომწერს განვუმარტე, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე თანხმობის შინაარსს და მასში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან წინამდებარე აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წარმოდგენილ თანხმობას (დამოწმებულია ერთ გვერდიან დოკუმენტზე ორ ეგზემპლარზე ორი ხელმოწერა), რასაც ვამოწმებ.
გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 12.00 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 2.16 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 19.16 ლარი (ორი ეგზემპლარისთვის).

ნოტარიუსი _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა * GEORGIA. NOTARY EKATERINE DZULIASHVILI * 01001003355

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18